

„ 13 “ 11 \_\_\_\_\_ 2013 წ.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის  
რექტორს ქალბატონ თეონა ხუფენიას

ქალბატონო თეონა,

ჩვენთვის ცნობილია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა, იყოს რეგიონში ძლიერი საგანმანათლებლო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს განათლების სახელმწიფო პოლიტიკის, რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ და არის ხარისხიან განათლებისა და მაღალი კულტურული აზროვნების გარანტი. ასევე ცნობილია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ამზადებს და გადაამზადებს ახა სამეცნიერო პერსონალს, მასწავლებელს, ქმნის, უზრუნველყოფს და განავითარებს სასწავლო და კვლევის პირობებს სწრაფად და მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებ შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი მოდიფიკაციის გზით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ეკონომიკური განვითარების გეგმის შესაბამის: უნივერსიტეტმა თავისი სტრატეგია სწორედ რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებში შეიმუშავა და აკადემიურ და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ძირითადად აგრარული, სამშენებლო, ტურიზმის, მენეჯმენტის და ჰუმანიტარული , ჯანდაცვის მიმართულებით.




მიგვაჩნია, რომ სამეგრელო ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატურის, შსს სამეგრელო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო ზემო-სვანეთის მთავარი სამმართველოს და სხვა შესაბამისი უწყებების კამპანიაში, არსებული შემდგომი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უნივერსიტეტში აუცილებლად ხორციელდებოდეს სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით აღნიშნული ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნულ სტრუქტურებში ადგილი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და დასაქმებას, არსებული კადრების შეკვალიფიცირებას, ჩვენდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში მიმდინარე პროექტულ ფარგლებში უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაძლიერებას.

პროგრამის განხორციელების აქტუალობას განაპირობებს რეგიონის შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებზე მზარდი მოთხოვნა. ამავდროულად პროგრამის არსებობა საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული რეგიონიდან ახალგაზრდის გადინება და დიდ ქალაქებში მათი კონცენტრირება, აღნიშნული თავის მხრივ გავლენას ახდენს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც. პროგრამის განხორციელების საზღვრისპირა რეგიონის აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდებისთვის სამართლის სპეციალობის ხელმისაწვდომობას.

გთხოვთ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოგვიზადოთ სამართალმცოდნეობის ბაკალავრი უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით.

სამეგრელო ზემო-სვანეთის საოლქო პროკურატორი



შსს სამეგრელო - ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო ზემო-სვანეთის (ზუგდიდის) მთავარი სამმართველოს უფროსი

